სურამში ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია იწყება

26 თებერვალი 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და დაფინანსებით, სურამში ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მწერლის - ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციის პროცესი იწყება. სარეაბილიტაციო პროექტის პირველი ეტაპი სამუზეუმო სივრცის დემონტაჟს მოიცავს, რომლის განხორციელება უახლოეს დღეებში, ტენდერის გზით შემრულებელი კომპანიის გამოვლენის შემდეგ დაიწყება.

მემორიალური სახლის აღდგენისა და სამუზეუმო მოწყობის ინიციატივა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, საქართველოში უკრაინის სრულუფლებიან ელჩს იგორ დოლგოვს ეკუთვნის, რომელიც სარეაბილიტაციო პროცესში აქტიურადაა ჩართული.
წინასარეაბილიტაციო მზადების პროცესს დაბა სურამში შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე უკრაინის სრულუფლებიან ელჩთან იგორ დოლგოვთან ერთად გაეცნენ, სადაც ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის-ლესია უკრაინკას დაბადების 149 -ე წლისთავი აღინიშნა.

არსებული ნაგებობის სრული დეგრადირება მეწყრულმა პროცესებმა გამოიწვია, რის შედეგად გადაწყდა მისი დაშლა და ხელახლა აგება. გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე მომზადებული არქიტექტურული პროექტის თანახმად, რომელიც სააგენტოს დაკვეთით კომპანია „არტ-ბილდინგმა“ შეასრულა, აუთენტური ფორმით აშენდება ახალი სამუზეუმო შენობა. რეკონსტრუქციის შედეგად განახლდება სახლ-მუზეუმის ეზოს ინფრასტრუქტურა. თანამედროვე სტანდარტებით მოეწყობა სამუზეუმო სივრცე, რომელიც ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. განახლდება მუზეუმის გალავანი და მისი ყველა ელემენტი. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, მოეწყობა ფონდსაცავები. სამუზეუმო ექსპოზიცია სახლ-მუზეუმის თანამედოვე მუზეოგრაფიის კონცეფციას დაექვემდებარება, რაც მას მეტ შინაარსობრივ დატვირთვას შესძენს. სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია 2021 წელს დასრულდება.
სარეაბილიტაციო პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე, პროექტის პარტნიორის - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სამუზეუმო ექსპონატები დროებით დაცულ სივრცეში განთავსდა და ისინი ისტორიულ სივრცეს რეკონსრუქციის დასრულების შემდეგ დაუბრუნდებიან.